

სოციალური იუმორის ლინგვისტური გააზრებისათვის

ლარიბაშვილი მანანა

იაკობ გოგებაშვილის სახელობის
თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აბსტრაქტი. COVID პოსტების თემატიკა საკმაოდ მრავალფეროვანი და მეტად საინტერესო აღმოჩნდა. დაკვირვებამ ცხადყო, რომ სოციალურ ქსელში განთავსებული COVID-19 პოსტების უმრავლესობა ეხება ოჯახურ ურთიერთობებს, რომლებიც სავსეა იუმორისა თუ სარკაზმის შტრიხებით. ეს არც თუ ისე გასაკვირვია, რადგან ადამიანებს მოუწიათ ოჯახურ გარემოში ჩაკეტვა და იუმორისტული მაგალითებმაც სწორედ ამ თემის გარშემო მოიყარა თავი. აგრეთვე, მოიძებნა საგანმანათლებლო და მოგზაურობის თემატიკასთან საინტერესო საანალიზო მასალები.

სოციალურ მედიაში არსებული საანალიზო მასალების განხილვის პროცესში მეტად საინტერესო აღმოჩნდა არსებული ტექსტების ლინგვისტური ანალიზი, უფრო ზუსტად კი, მათი გამოხატვის ენობრივი საშუალებების დადგენა-გაანალიზება.

დაკვირვებამ აჩვენა, რომ COVID-19 პანდემიასთან დაკავშირებული ტექსტების აგებისას ხშირად იჩენს თავს პარალელიზმი (სიტყვათა გამეორება), მეტაფორა-მეტონიმია, შედარება თუ სხვა დანარჩენი სტილისტურ-გამომხატველობითი საშუალებები. ასევე, მოძიებული მაგალითები მეტად საინტერესო მასალას წარმოადგენს ფსიქო-ლინგვისტური თვალსაზრისით.

საკვანძო სიტყვები: იუმორი, სოციალური მედია, იუმორისტული გამონათქვამი, facebook, კომუნიკაცია

იუმორი განსაკუთრებულ ადგილს იკავებს ადამიანების ცხოვრებაში, რომელიც ეხმარება მათ კომუნიკაციასა და სათქმელის გადაცემაში. ხუმრობები და სხვადასხვა იუმორისტული გამონათქვამები წარმოადგენს ერთგვარ საკომუნიკაციო ფორმას, რომლის გაზიარებაც მუდმივად ხდება სოციალური ინტერაქციის პროცესში. სწორედ ამიტომ, იუმორი, გარკვეულწილად, სოციალურ ფენომენად არის აღიარებული.

ამიტომაც, იუმორი ყოველთვის იყო და კვლავაც რჩება მეცნიერების სხვადასხვა მიმართულებისა თუ დისციპლინების კვლევის საგნად. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით არაერთ კვლევას ვაწყდებით სამეცნიერო სფეროში. იუმორი გამოკვლეულია ფსიქოლოგიის (Freud, 1960), სემიოტიკისა (Dorfles, 1968) თუ ლინგვისტიკის (Raskin, 1985; Atardo & Raskin, 1991) გადმოსახედიდან. საინტერესოა ფროიდისეული მოსაზრება იუმორთან მიმართებაში, რომელიც ასკვნის, რომ იუმორი, შესაძლებელია, გამოყენებულ იქნეს დეპრესიით გამოწვეული ფსიქოლოგიური მდელვარების შესამცირებლად.

ადამიანები, როგორც წესი, სხვადასხვა თემაზე ან გარემოებებზე ხუმრობენ. ის, რაც სახალისოდ ითვლება ერთ სიტუაციაში, შესაძლებელია, ინტერპრეტირების შედეგად, ირონიული ელფერი შეიძინოს სხვა კონტექსტში. სწორედ ამიტომ, იუმორის ზუსტი განმარტების შექმნა საკმაოდ რთული საქმეა. მოცემულ სიტუაციაში კულტურული ფონი ყველაზე განსმსაზღვრელ ფაქტორად შეიძლება ჩაითვალოს იუმორის დეფინიციის გამიჯვნისას.

და მაინც, გარდნერის (Gardner 2008) მოსაზრებით, იუმორის მრავალი თეორიის მიუხედავად, ისეთ დისციპლინებში, როგორცაა ფსიქოლოგია, ენათმეცნიერება, ანთროპოლოგია და მედიცინა, მაინც შეუძლებელია იმის დადგენა, თუ როგორ მუშაობს იუმორი (Gardner 2008:9).

ვინაიდან, იუმორი ყველა სფეროს მოიცავს, ამ მხრივ, გამონაკლისს არც სოციალური მედია წარმოადგენს, ვინაიდან, ეს უკანასკნელი არის კომუნიკაციის ყველაზე მძლავრი იარაღი თანამედროვე გლობალურ სამყაროში. ადამიანები ხუმრობენ თითქმის ყველაფერზე მძიმე სოციალურ-ეკონომიკური გარემოებების მიუხედავად. გამონაკლისს არც პანდემია წარმოადგენს.

2019 წლიდან ლეგენდარული სახელით წოდებული ვირუსი COVID-19 დიდი თავსატეხი გახდა სრულიად მსოფლიოსთვის, რამაც დრამატულად შეცვალა ყველა ჩვენგანის ცხოვრება. მსოფლიო მოიცვა ერთგვარმა შიშმა, რომელთან გაკლავება არც თუ ისე ადვილი აღმოჩნდა რიგითი მოკვდავთათვის. თუმცა, ადამიანმა ამ განსაცდელთან გასამკლავებლად კვლავ იუმორი აირჩია. შედეგად, სოციალურ ქსელებში უხვად გაჩნდა პანდემიასთან დაკავშირებული მოკლე იუმორისტული ტექსტები ე.წ. პოსტები

ჩვენი კვლევის მთავარ მიზანს წარმოადგენდა სოციალურ ქსელში, კერძოდ კი Facebook-ში განთავსებული პანდემიასთან დაკავშირებული ინგლისურენოვანი მოკლე ტექსტების ე.წ. პოსტების თემატური და ლინგვისტური ანალიზი.

COVID პოსტების თემატიკა საკმაოდ მრავალფეროვანი და მეტად საინტერესო აღმოჩნდა. დაკვირვებამ ცხადყო, რომ სოციალურ ქსელში განთავსებული COVID-19 პოსტების უმრავლესობა ეხება **ოჯახურ ურთიერთობებს**, რომლებიც სავსეა იუმორისა თუ სარკაზმის შტრიხებით. ეს არც თუ ისე გასაკვირვია, რადგან ადამიანებს მოუწიათ ოჯახურ გარემოში ჩაკეტვა და იუმორისტული მაგალითებმაც სწორედ ამ თემის გარშემო მოიყარა თავი.

გამარჯებულია ოჯახური ურთიერთობები	
ა) კოვიდ პანდემიით გამოწვეული ჭარბი წონის პრობლემები. ცოლ-ქმრის დიალოგი:	ბ) მანდილოსნებისსაყვარელი საქმიანობა - საყილებზე სიარულის ნაცვლად ე.წ. ონაღინ შოპინ გები. ცოლ-ქმრის დიალოგი:

<p>WIFE: DID I GET FAT DURING QUARANTINE?</p> <p>HUSBAND: YOU WERE NEVER REALLY SKINNY!</p> <p>TIME OF DEATH: 4/25/20 11:47 PM CAUSE OF DEATH: CORONAVIRUS</p>	
<p>გ) საოჯახო Covid პაემან-შარჟი. ცოლ-ქმრის ურთიერთობა:</p>	<p>დ) ცოლ-ქმარს შორის პირბადით გამოწვეული უხერხულობა:</p>

იუმორი არ დაჰკლებია, აგრეთვე, საგანმანათლებლო სფეროს. დისტანციურ რეჟიმში სასწავლო პროცესის წარმართვა სპირიტულ სენსთან არის გაიგივებული, ისე, რომ ამ ყველაფერს იუმორისტული ელფერი დაჰკრავს და მკითხველში ღიმილს იწვევს: „There’s someone who wants to join us.“ “Elizabeth, are you there?” “We can’t hear you.” “Can you hear us?”. („ვიღაც უნდა შემოგვიერთდეს.“ „ელიზაბეთ, აქ ხართ?“ „ჩვენ თქვენი არ გვესმის. „თქვენ გესმით ჩვენი?“) - ავტორისეული თარგმანი). სიტუაციიდან გამომდინარე, აშკარაა პედაგოგი მოუწოდებს მოსწავლეს დისტანციურ რეჟიმში შემოსასვლელად, რაც სულის გამოძახების სენსს ჰგავს. ასევე სახალისოდ ჟღერს დისტანციურ სწავასთან დაკავშირებული თემატიკის შემდეგი ტექსტი: „I’m not talking to myself, I’m having a parent-teacher conference.“ (ჩემს თავს კი არ ვესაუბრები, მშობელთანა კრებას ვატარებ“ -ავტორისეული თარგმანი).

როგორც მოკლე სოციალური ტექსტებიდან ირკვევა, იუმორის სამიზნედ, აგრეთვე, იქცა რელიგია: „If we only keep one thing from this pandemic, I hope it’s priests with water pistols.“ (ერთი რამ რაც შესაძლებელია პანდემიიდან დავისესხოთ, ეს გახლავთ მღვდლები წყლის პისტოლეტებით ხელში -ავტორისეული თარგმანი). ტესტიდან ვიგებთ, რომ სამომავლოდ, უსაფრთხოების დაცვის მიზნით, მორწმუნეთათვის წმინდა წყლის პკურებისას სასულიერო პირების მხრიდან, შესაძლებელია, გამოყენებულ იქნეს წყლის სასროლი იარაღები.

და ყველაზე მტკივნეული თემა, რომელიც, უმთავრეს თავსატეხად იქცა სრულიად მსოფლიოსთვის, გახლავთ მოგზაურობა და მასთან დაკავშირებული


მთელი რიგი საკითხები. შესაბამისად, ეს თემაც ვერ ასცდა იუმორისა თუ სარკაზმის „ქარცეცხლში გავლას“. სოციალური პოსტებიდან ვგებულობთ, თუ რაოდენ ფართო და ღმამა მოგზაურობის მსურველთა წარმოსახვა, რის საფუძველზეც შექმნილია არაერთი ახალი ე.წ. ტურისტული დანიშნულების ადგილები: Las Kitchenas, Los Lounges, Santa Bedrooms, Porto Gardenas, Los bed, Costa Del Balconia, St. Bathroom, La Rotonda De Sofa

ყურადღებას იპყრობს ცნობილი ზღაპრის „ფიფქია და შვიდი ჯუჯა“ შარჟი საზოგადოებრივ თავშეყრის შეზღუდვებთან დაკავშირებით.

“In other news The Seven Dwarfs have been advised that as of today, they can only meet in groups of six. One of them is not happy.” ამ იუმორისტული ტექსტიდან ვიგებთ, რომ შვიდი ჯუჯიდან ერთად ყოფნის საშუალება მხოლოდ 6 მათგანს ეძლევა დაწესებული რეგულაციებიდან გამომდინარე, რამაც სესაძლოა მეშვიე ჯუჯა სერიოზულად გაანაწყენოს.

ვირუსის თემა, მთელი თავისი იუმორისტული ელფერით, შეეხო შექსპირის ცნობილ პიესას „რომეო და ჯულიეტა“. ქვემოთმოყვანილ ტექსტში ავტორი ცდილობს დაადგინოს განსხვავება COVID-19-სა და რომეო და ჯულიეტას შორის „What’s the difference between COVID-19 and Romeo and Juliet? One’s the coronavirus and the other is a Verona crisis.“ („რა განსხვავებაა COVID-19-სა და რომეო და ჯულიეტას შორის? ერთი კორონავირუსია, მეორე კი ვერონა კრიზისი“ - ავტორისეული თარგმანი). აღნიშნული ტექსტიდან ვგებულობთ, რომ ერთი მათგანი კორონა ვირუსია (coronavirus), ხოლო მეორე ვერონა კრიზისი (Verona crisis). ამავდროულად, იგივე ტექსტი გართმვისა და სიტყვათა თამაშის სახალისო შემთხვევად შეიძლება მივიჩნიოთ, რაც, უშუალოდ, მაგალითში გრაფიკული მაჩვენებლებით გვაქვს მინიშნებული.

ზღაპრებისა თუ სხვადასხვა თემატიკის გამარჯებული ტექსტების გვერდით ინგლისურენოვან სოციალურ ქსელში ლექსების სახით მოცულობით რითმებსაც კი ვაწყდებით, რაც ისევ და ისევ პანდემიის გასაჭირში ჩავარდნილი ადამიანების „ინტელექტუალური დამსახურება“:



რითმებისა და ლექსების გვერდით, საპატო ადგილს იკავებს ამავე თემატიკის იუმორის ელფერით შენიღბული და, ამავე დროს, სარკაზმით დატვირთული

თანამედროვეობის ანდაზა: „ A roll of toilet paper is worth than a barrel of oil“ („ტუალეტის ქაღალდის ერთი რულონი სჯობს ერთ ბარელ ნავთობს“ - ავტორისეული თარგმანი).

ლინგვისტური თვალსაზრისით, მეტად საინტერესოა ახალი ლექსიკური ერთეულები, რომლებსაც საფუძველი ჩაეყარა მსოფლიო პანდემიის პროცესში და მალევე ჰპოვა გავრცობადობა მართო მასებს შორის. ერთ-ერთ ასეთ ახალ ლექსიკურ ერთეულს წარმოადგენს „homeschool“ (ე.წ. სახლიდან განათლება), რომლის წარმოშობისა მთავარ წყაროდ სწავლების დისტანციურ რეჟიმზე გადასვლა მოიაზრება. იგი განსხვავებულ კონტექსტში ზმნის სხვადასხვა უპირო ფორმებად გვევლინება. მაგ:

- 1) Stay at homeschooling tip #102: Anyone who talks back or rolls eyes is now a janitor until farther notice. (დარჩი დისტანციურ განათლებაზე (რჩევა #102): ვინც თავის უკვანძდომს დაელაპარაკება ან თვალებს აცეცებს დარჩება ჯგუფის მეთვალყურედ შემდგომ შეტყობინებამდე - ავტორისეული თარგმანი) – (გერუნდივი);
- 2) In 20 years our country will be run by people homeschooled by day drinkers. (20 წელიწადში ქვეყანას ისინი ჩაუდგებიან სათავეში, რომლებმაც განათლება დისტანციურად სახლიდან გაუსვლელად მიირეს სასმელის მწრუპავების წყალობით - ავტორისეული თარგმანი) - (მიმღეობა);
- 3) If you all don't start wearing masks then you are going to have to homeschool your kids this fall. (მიმართვა მშობლებს: თუ ყველა არ გაიკეთებთ პორბადეს, თქვენ შვილებს სწავლა დისტანციურად სახლიდან გაუსვლელად მოუწევთ ამ შემოდგომაზე - ავტორისეული თარგმანი) - (ინფინიტივი);

აღნიშნულ საკითხზე მსჯელობისას, საინტერესო მაგალითად შეიძლება მოგვევლინოს ახალი ლექსიკური ერთეულის „coronacoaster“ (არსებითი სახელი) შექმნა, რომელიც შეიძლება ითარგმნოს როგორც კორონაუსაქმური (პანდემიის პერიოდში უსაქმურობის მდგომარეობაში მყოფი ადამიანი).

არანაკლებ საინტერესოა, ასევე, სოციალურ ქსელებში დამკვიდრებული ახალი ლექსიკური ერთეული „airgasm“ - რომელიც შეიძლება ითარგმნოს როგორც სახიდან ნიღბის ჩამოხსნით მიღებული სიამოვნება.

სოციალურ მედიაში არსებული საანალიზო მასალების განხილვის პროცესში მეტად საინტერესო აღმოჩნდა არსებული ტექსტების ლინგვისტური ანალიზი, უფრო ზუსტად კი, მათი გამოხატვის ენობრივი საშუალებების დადგენა-გაანალიზება.

დაკვირვებამ აჩვენა, რომ COVID-19 პანდემიასთან დაკავშირებული ტექსტების აგებისას ხშირად იჩენს თავს **პარალელიზმი (სიტყვათა გამეორება)**: “So excited for my quarantine **depression** and my regular **depression** to meet my seasonal **depression**.” (აღშფოთებას ვერ ვმაღავ, რადგან კარანტინი და ჩემი მუდმივი დეპრესია სეზონით გამოწვეულ დეპრესიას დაემთხვა). როგორც მაგალითიდან გრაფიკულად ჩანს,

წინადადებაში გამეორებულია არსებითი სახელი depression (დეპრესია).

“Allergy Season is about to turn into a Salem Witch Trials” - აღნიშნული წინადადება შედარების, როგორც ერთ-ერთი მხატვრული ხერხის გამოხატულებაა, რომელშიც ალერგიის სეზონი შედარებულია სალემის ჯადოქართა სამსჯავროსთან.

გვერდს ვერ ავუვლით მეტაფორის მაგალითს, რომელიც მეტად საინტერესო კონტექსტში გვევლინება: Stepped on my scale this morning and its said: Please use social distancing (დილით აწონვისას სასწრომა მომადახა: გთხოვთ დაიცვათ სოციალური დისტანცია.) აღნიშნულ წინადადებაში ჭარბი წონა მეტაფორულად არის გაშარჟებული.

ყურადღებას იპყრობს ჩვენ მიერ მოძიებული მეტონიმის მაგალითებიც:

- Just heard the king of Spain has been quarantined on his private jet. That means **the reign** in Spain stays mainly on the plane (გავიგე ესპანეთის მეფე კარანტინშია საკუთარ თვითმფრინავში. გამოდის, ესპანეთის მმართველობა ამ თვითმფრინავშია მოქცეული.)
- I ran out of toilet paper and had to start using old newspapers. **Times** are rough. ტუალეტის ქაღალდი გამომელა და ძველ გაზეთებს მივადექი. მძიმე ჟამი დგება.

საანალიზო მასალებს შორის მეტად საინტერესო შემთხვევას წარმოადგენს კალამბურის მაგალითი, რომელიც შექმნილია სიტყვებისა და ციფრების კომბინაციური გართმევით: You are mad because **2021** is pronounced: “**2020 won**”. Then you realize that **2022** is **2020 too**.

სოციალურ პოსტებში ავტორები არც ვულგარულ და ტაბუირებული სიტყვების გამოყენებას არიდებენ თავს იუმორისტული შეფერილობით პრობლემის გადმოცემისას. მაგალითისთვის შეგვიძლია მოვიყვანოთ შემდეგი ტექსტი: If a supervisor at work gets the covid do the people who **kiss that ass** need to be tested? (თუ სამსახურში უფროსი ვირუსით დაინფიცირდება, იმ პირებსაც უნდა ჩაუტარდეთ ტესტირება ვინც უკანაღს უკოცნიდა? - ავტორისეული თარგმანი)

ამგვარად, შეიძლება ითქვას, სოციალურ სივრცეში მოძიებული COVID პანდემიასთან დაკავშირებული ინგლისურენოვანი პოსტები საინტერესო საანალიზო მასალას წარმოადგენს ფსიქო-ლინგვისტური თავისებურებით. ყურადღებას იპყრობს ამ პოსტების გადმოცემის ენა და მისი ლინგვისტური თავისებურები, რომლებიც უზვადაა სტილისტური ხერხებითა და გადმოცემის საშუალებებით.

ლიტერატურა:

Attardo, S., and Raskin, V .1991. Script theory revisi(it)ed: Joke similarity and joke representation model Humor: International Journal of Humor Research, 4(3-4), 293- 347

Dorfles, G. (1968). *Kitsch: The World of Bad Taste*. New York: Universe.

Freud, S. 1960. *Jokes and their relation to the unconscious*. London: Routledge & Paul

Gardner, S. 2008 Three ways humor helps in the language classroom. *The Language Teacher* 32.6

Raskin, V. 1985. *Semantic Mechanisms of Humor*. Dordrecht: Reidel

For the Linguistic Conceptualization of Social Humor

Garibashvili Manana

Iakob Gogebashvili Telavi State University

Abstract

Humor plays an important role in people's lives, which helps them to communicate and share their feelings and thoughts among each other. Jokes and various humorous utterances are a form of communication that is constantly shared in the process of social interaction. That is why humor is, to some extent, recognized as a social phenomenon.

Since humor covers all areas, social media is no exception, as the latter is the most powerful tool of communication in the modern global world. People joke almost on everything despite difficult socio-economic circumstances and pandemic is no exception.

The main goal of our research was to observe and analyze the so-called pandemic-related posts on social networks, particularly Facebook and to make their thematic and linguistic analysis.

COVID 19 posts turned out to be quite diverse and very interesting. The observation has revealed that most of the posts on the social network concern the family relationships that are full of humor or sarcasm. This is not so surprising as people were forced to be locked in a family environment, That's why numerous examples of this type have been gathered around this very topic. Interesting materials on educational and travel topics were also found during the study.

Linguistic analysis of texts from social media, more precisely identification and analysis of the linguistic and literary means of expression, appeared to be very interesting.

The research has revealed that various stylistic means such as repetition (parallel construction), metaphors, comparison/simile, metonymy etc. are frequently used for constructing COVID 19 texts in social media. Thus, the analyzed examples are very interesting material from a psycho-linguistic point of view.

Key words: Humor, social media, humorous utterance, Facebook, communication